გუშინ... (7 ივლისი)

სსრ კავშირის თასზე (1967 წელი)

ჩვენი ქვეყნის სტადიონებზე გაიმართა სსრ კავშირის თასის გათამაშების მერვედფინალური მატჩები.

თბილისის "დინამო" ბაქოში შეხვდა ადგილობრივ "ნეფტიანიკს".

საუკეთესო ფორმაში მყოფმა ბაქოელებმა პირველივე წუთებზე შეტევაზე გადაიყვანეს თავიანთი ძლიერი და აგრესიული თავდასხმა. მათი გეგმა ნათელი იყო: წარმატების მოპოვება დასაწყისშივე, გარანტიის შექმნა გამარჯვებისათვის.

სანამ "ნეფტიანიკი" თავის საიერიშო გეგმას ახორციელებდა მინდვრის მთელ სიგანეზე, დინამოელებმა რამდენიმე კონტრშეტევა ჩაატარეს მარცხენა ფლანგიდან. შემდეგ, მე-15 წუთზე მეტრეველი სწრაფად გაექცა მცველებს, გადააწოდა მოპირდაპირე მხარეს ღიად დარჩენილ **მესხს** და ამ უკანასკნელმა ძლიერი დარტყმით გაგზავნა ბურთი ბადეში _ 1:0.

მასპინძლები გაშვებული გოლის შემდეგ კარგა ხანს აბნეულად და უსისტემოდ თამაშობდნენ. გუნდმა მხოლოდ ტაიმის ბოლოს აღიდგინა თავისი რგოლების მთლიანობა, ხოლო მეორე ტაიმი ისევ მძლავრი შეტევით დაიწყო. თბილისელებმა ვერაფრით ვერ შეძლეს თამაშის გამართვა წინა ხაზზე და დაცვას განუწყვეტლივ უხდებოდა ბრძოლა საკუთარ საჯარიმო მოედანზე.

ასეთ პასიურ თამაშს კარგი არაფერი მოყვებოდა. მართლაც, საპასუხო გოლი მალე იქნა გატანილი: **მარქაროვმა** ვარდნაში, თავს ზემოთ დაარტყა და ურუშაძემ ვერ შეძლო ამ იოლი ბურთის აღება _ 1:1.

ცოტა ხანში ურუშაძემ მეორე შეცდომა დაუშვა და **ტუაევის** მიერ კარის გასწვრივ დარტყმული ბურთი თავისივე კარში შეაგდო _ **1:2.** დინამოელთა მეკარე ამ მატჩში, რბილად რომ ვთქვათ, დამაჯერებლად ვერ იდგა კარში!

თბილისელებმა მხოლოდ ამის შემდეგ გააძლიერეს თავდასხმის თამაში, პეტრიაშვილის მაგივრად გამოვიდა მაისურაძე, რამდენიმე მომენტი შექმნეს ნოდიამ, მეტრეველმა, ცარიელი კარიდან გამოიტანა ბურთი ბაბაევმა, მაგრამ უკვე გვიანი იყო. "ნეფტიანიკმა" გამარჯვება შეინარჩუნა და გავიდა მეოთხედფინალში.

"ლელო", 8 ივლისი, 1967 წ.